№ 8 "24" დეკემბერი 2012

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

24 დეკემბერი, 2012

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების 36, ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის " ოფისში. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

მარიამ კუბლაშვილი -კომისიის თავმჯდომარე

ანა ხარაიშვილი- წევრი

მაკა ჯაფარიძე- წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ წევრები -ლევან ჩხეიძე, აკაკი ჩარგეიშვილი,

ქეთევან ჯაფარიძე-სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

დღის წესრიგი:

1. აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებებზე მსჯელობა;
2. ასოციაციის აუდიტორულ შემოწმებასთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ გაწეული სამუშაოს შედეგების წარმოდგენა.

სხდომას ესწრებოდა აუდიტორული კომპანიის „MN აუდიტი"-ს წარმომადგენელი იური პაპასქუა, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ. წევრების მხრიდან დაისვა სხვადასხვა შეკითხვები კომპანიის აუდიტორულ საქმიანობათან დაკავშირებით. ბატონმა იურიმ განაცხადა, რომ მისი ფირმა წლებია აქტიურად არის დაკავებული აუდიტორული მომსახურებით, ჰყავს კვალიფიციური თანამშრომლები და ამ მიმართულებით ხანგრძლივ გამოცდილებას ფლობს.

„MN აუდიტი"-ს წარმომადგენელთან იური პაპასქუასთან ჩატარებული გასაუბრების შემდეგ, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მარიამ კუბლაშვილი დღის წესრიგის 1-ელ საკითხს შეეხო. მან კომისიის წევრთან - ანა ხარაიშვილთან ერთად წარმოადგინა კომენტარები და შენიშვნები აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2010 წელს მიღებულ გადაწყვეტილებებზე; კომისიამ ყურადღება

გაამახვილა და შეკითხვები დასვა აღმასრულებელი საბჭოს მიერ ზემოთ ნახსენებ პერიოდში მიღებულ ზოგიერთ გადაწყვეტილებაზე. კერძოდ, წევრებმა მოითხოვეს სხდომის ოქმებში მითითებული შემდეგი დოკუმენტაციის მიწოდება:

1. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 13 იანვარის სხდომის ოქმის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარის –კახაბერ ასლანიშვილის სახელზე მიღებული წერილი;

2. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 2 თებერვლის ოქმის მიხედვით, ასოციაციის მოქმედი თავმჯდომარის სახელით ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარის -კახაბერ ასლანიშვილის მისამართით გაგზავნილი წერილი;

3. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 11 თებერვლისა და 4 მარტის ოქმების მიხედვით, საკურატურო მიმართულებების პროექტების ბიუჯეტი;

4. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 17 მარტის ოქმის მიხედვით, ეთიკის კომისიის ბიუჯეტი;

5. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება (ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის თავმჯდომარისთვის 1000 ლარის ოდენობით ხელფასის დანიშვნის მიზანშეწონილობაზე მსჯელობისათვის);

6. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 10 მაისის სხდომის ოქმის მიხედვით, ასოციაციის საშტატო განრიგი;

7. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 19 მაისის ოქმის მიხედვით, 2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი;

8. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 13 ივლისის ოქმის მიხედვით, აკაკი ჩარგეიშვილის წერილი გერმანელი სტუმრების ვიზიტისთვის გამოყოფილი თანხის ხარჯთაღრიცხვის შესახებ; ამავე ოქმის მიხედვით, იუსტიციის საბჭოდან შემოსული და ასოციაციიდან იუსტიციის საბჭოში გაგზავნილი წერილები;

9. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 4 აგვისტოს სხდომის ოქმის მიხედვით, სისხლის სამართლის კომიტეტის პროექტი და ბიუჯეტი (15 000 ლარი);

10. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის ტესტების შესადგენად 3500 ლარის გამოყოფასთან დაკავშირებით ხარჯთაღრიცხვა სასწავლო ცენტრიდან; ასოციაციის IMG ჯგუფთან საქმიანობის პროცესში, ასოციაცია მონაწილეობდა ბენეფიციარის სტატუსით და ასოციაციის ბიუჯეტიდან ფინანსური ანგარიშსწორება არ განხორციელებულა.

11. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 7 სექტემბრის ოქმის მიხედვით, ამერიკის საელჩოსთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. ამავე ოქმის მიხედვით, თელავის რეგიონალური ოფისის მენეჯერის ფუნქციებისა და ხელფასის შესახებ ინფორმაცია. ასოციაციის საერთაშორისო სავაჭრო პალატაში (ICC) წევრობის მიზანშეწონილობისა და საწევროს რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;

12. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 28 სექტემბრის ოქმის მიხედვით, ასოციაციის კუთვნილი უვარგისი ტექნიკის ჩამოწერისა და გასხვისების შესახებ ინფორმაცია;

13. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 11 ოქტომბრის ოქმის მიხედვით, ჟურნალ „ადვოკატის" გამოცემის შესახებ ინფორმაცია (გამოცა თუ არა შემდეგი ნომრები);

14. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით 2011 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედებული ახალი საშტატო სისტემის შესახებ ინფორმაცია; საერთო კრებისთვის მასალების დაბეჭდვის მიზნით ასოციაციის მხრიდან გაწეული ფინანსური ხარჯთაღრიცხვა;

15. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 9 ნოემბრის ოქმის მიხედვით, ასოციაციის ვებ-გვერდის დიზაინის შეცვლის მიზნით ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის შესახებ ინფორმაცია. ქუთაისის რეგიონალური ოფისის შესაძენად ასოციაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის (70 000 ლარი) სრული ხარჯთაღრიცხვა. ბრიუსელში ვიზიტისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია; ამავე ოქმის მე-11 გადაწყვეტილების განმარტება.

16. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 15 ნოემბრის ოქმის მიხედვით, ასოციაციის 2011 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტი;

17. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 29 ნოემბრის ოქმის მიხედვით, პროექტორის, ნოუთბუქის, ეკრანის შეძენის ხარჯთაღრიცხვა, სისხლის სამართლის კომიტეტის დებულების პროექტი, ადვოკატთა ჯანმრთელობის დაზღვევის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ხარჯთაღრიცხვა. ადვოკატთა პლასტიკური ბარათების დაბეჭდვის შესახებ ხელშეკრულება და ხარჯთაღრიცხვა. One IT-ის პროექტის ხარჯთაღრიცხვა. ფოტოაპარატის შეძენის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შესახებ განმარტება;

18. აღმასრულებელი საბჭოს 2010 წლის 3 დეკემბრის ოქმის მიხედვით, ასოციაციის წესდებაში შეტანილი ცვლილებების პაკეტი;

სარევიზიო კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი შენიშვნებით გათვალისწინებული დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გამოთხოვა და კომისიის წევრებისთვის მათი მიწოდება დაევალა სარევიზიო კომისიის კოორდინატორს. კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომაზე წარმოდგენილი აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებები განხილულ იქნა სარევიზიო კომისიის ფუნქციის ფარგლებში და გამოთხოვილი ინფორმაციის მიღების შემდეგ ამ მიმართულებით კვლავ გაგრძელდება მუშაობა.

თავმჯდომარის მითითებით კომისიის კოორდინატორს დაევალა ასოციაციის აუდიტორული შემოწმების მიზნით სააუდიტორო ფირმებისგან ამ ტიპის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით განაცხადების მიღების შესახებ საინფორმაციო განცხადების ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსება. განაცხადების შემოტანის ვადად განისაზღვრა პერიოდი 2012 წლის 26 დეკემბრიდან 2013 წლის 14 იანვრის ჩათვლით.

სარევიზიო კომისიის შემდეგი სხდომა ჩაინიშნა 2013 წლის 24 იანვარს.

სხდომის დღის წესრიგის აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობის შემდეგ სხდომაზე კენჭისყრის შედეგად (გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად) მიღებულ იქნა

დადგენილება:

1. სარევიზიო კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი შენიშვნებით გათვალისწინებული დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გამოთხოვა და სარევიზიო კომისიის წევრების უზრუნველყოფა ხსენებული ინფორმაციით დაევალოს სარევიზიო კომისიის კოორდინატორს;

2. ასოციაციის აუდიტორული შემოწმების მიზნით სააუდიტორო ფირმებისგან ამ ტიპის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით განაცხადების მიღების შესახებ საინფორმაციო განცხადება განთავსდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე და განაცხადების შემოტანის ვადად განისაზღვროს პერიოდი 2012 წლის 26 დეკემბრიდან 2013 წლის 14 იანვრის ჩათვლით.

3. სარევიზიო კომისიის შემდეგი სხდომა ჩატარდეს 2013 წლის 24 იანვარს.

სხდომის თავმჯდომარე- მარიამ კუბლაშვილი

სხდომის მდივანი - მაკა ჯაფარიძე

წევრი - ანა ხარაიშვილი